ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. თებერვლის 1. № 1 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

1. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 88 და 271 მუხლებისათვის შენიშვნების დამატების შესახებ.

2. საქართველოს სსრ-ის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ „სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა, ორდინატორებისა და ასისტენტების მობილიზაციისაგან განთავისუფლების“ თაობაზე 1921 წ. სექტემბრის 10 თარიღითა და 68 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

3. ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმის წარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ.

4. ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების დებულების დამტკიცებისა და ქალაქის საბჭოების დებულების შეცვლის შესახებ.

დებულება ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების შესახებ.

5. ხელოვნების სახალხო და დამსახურებულ მოღვაწეთა და სახალხო და დამსახურებულ არტისტთა შესახებ.

6. საქართველოს სსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშების დაწესების შესახებ.

7. ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საბინაო-კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის იმ ნებართვის მიცემის შესახებ, რომ სათადარიგო კაპიტალში გადასაცემი თავიანთი ანარიცხები შეიტანონ საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში ანაბარის სახით.

10. საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კომიტეტის შესახებ.

11. საბაჟო დაწესებულების მიერ დადებული ჯარიმის გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

12. მშენებელი მუშების მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად შრომის ბირჟების და საზოგადოება „უსტანოვკა"-ს („Установка") ადგილობრივ განყოფილებისათვის სადგომების მიცემის შესახებ.

13. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წვრილი მრეწველობის (შინამრეწველ-ხელოსნური) აღწერის შესახებ.

14. კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო ორგანოებისა, შერეული სააქციო საზოგადოებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვებით გასათვალისწინებელი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

1. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 88 და 271 მუხლებისათვის შენიშვნების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 88 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. „იმ უცხო სახელმწიფოს ქონების შეკვრა, რომელიც სსრკ-ის ქონების მიმართ ურთიერთობის პრინციპს იცავს, შეიძლება მხოლოდ ყოველ ცალკე შემთხვევაში სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინასწარი ნებართვით".

2. იმავე კოდექსის 271 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. „იმ უცხო სახელმწიფოს ქონებაზე გადახდევინების მოქცევა, რომელიც სსრკ-ის ქონების მიმართ ურთიერთობის პრინციპს იცავს, შეიძლება მხოლოდ ყოველ ცალკე შემთხვევაში სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინასწარი ნებართვით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-
ჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 11.
ტფილისი—სასახლე.

---

2. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ „სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა, ორდინატორებისა და ასისტენტების მობილიზაციისაგან განთავისუფლების“ თაობაზე 1921 წ. სექტემბრის 10 თარიღითა და 68 №-ით გამოცემული დადგენილებების გაუქმების შესახებ.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 8-ს დადგენილების VIII მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № 51, მუხ. 448)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ-ის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. სექტემბრის 10 თარიღისა და 68 №-ის დადგენილება „სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა, ორდინატორებისა და ასისტენტების მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ“ ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
მასრულ. კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 11.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმისწარმოებისა და სამართლის-წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემოღებულ იქნეს საქმისწარმოება მეგრულ ენაზე ზუგდიდის მაზრის იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც ამ საბჭოების მიერ გაერთიანებული მოსახლეობის უმეტესობამ ქართული ენა არ იცის და ხმარობს მეგრულ ენას, როგორც სამშობლო ენას.

2. შემოღებულ იქნეს მეგრული ენა სამართლისწარმოების ენად იმ სასამართლო რაიონებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობამ ქართული ენა არ იცის და ხმარობს მეგრულ ენას როგორც სამშობლო ენას.

3. იმ სასოფლო საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების განსაზღვრა, სადაც, ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლების თანახმად, საქმისწარმოება და სამართლის წარმოება უნდა მიმდინარეობდეს მეგრულ ენაზე, მოხდება ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით და დამტკიცდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

შენიშვნა. ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება იმ სახალხო სასამართლოების განსაზღვრის შესახებ, სადაც სამართლისწარმოება უნდა მიმდინარეობდეს მეგრულ ენაზე, წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატთან.

4. ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და ამ მაზრის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ყველა სავალდებულო დადგენილება, აგრეთვე ამ ორგანოების ყველა ის განკარგულება, რომლის აღსრულებაც სავალდებულოა მოსახლეობისათვის, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს როგორც სახელმწიფო ენაზე, ისე მეგრულ ენაზე.

5. ზუგდიდის მაზრის იმ მოქალაქეთ, რომელთაც ქართული ენა არ იციან, შეუძლიანთ სამაზრო და სარაიონო დაწესებულებებისადმი მიმართვის დროს (სიტყვიერად თუ წერილობით), აგრეთვე ამ მაზრის სასამართლო დაწესებულებებში სიტყვიერი თუ წერილობითი განმარტების მიცემის დროს იხმარონ მეგრული ენა.

6. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს—მიიღონ საჭირო სამომზადებლო ღონისძიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანი ამა დადგენილების განხორციელებისათვის ისეთი ვარაუდით, რომ 1930 წ. იანვრის 1-თვის წინა მუხლებში აღნიშნული წესები სავსებით იქნეს განხორციელებული.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „კომუნისტი"-ს 297 №-ში 1929 წ. დეკემბრის 25.

---

4. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების დებულების დამტკიცებისა და ქალაქის საბჭოების დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებისთანავე:

ა) ქალაქის საბჭოების დებულების (კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-რი, მუხ. 18) 52 მუხლის პირველი ნაწილი შეივსოს „ზ" პუნქტით შემდეგი შინაარსისა: „ზ) მუშათა და გლეხთა ინსპექცია";

ბ) იმავე 52 მუხლის მეორე ნაწილიდან ამოიშალოს სიტყვები „მუშათა და გლეხთა ინსპექცია" და

გ) 52 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: „მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები მოქმედობენ თანახმად მათ შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულებისა".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების შესახებ.

1. ქალაქის საბჭოსთან არსებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია თავის მუშაობას ატარებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოსათვის სრული დახმარების და ამ ორგანოს მუშაობაში აქტიური მონაწილეობის ხაზით.

2. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის სტრუქტურა, მუშაობის გეგმა და თვით მუშაობა განისაზღვრება ქალაქის საბჭოების დებულების (კან. კრებ. 1928 წ. მე-3 №-რი, მუხ. 18) სათანადო მუხლებით და ქვემომდევნო მუხლებით.

3. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია საჭირო შემთხვევაში დაიყოფა ცალკე ქვესექციებად. ქვესექცია შესდგება სექციის იმ წევრთაგან, რომელნიც მოისურვებენ ამ სექციაში მუშაობას.

4. სექცია ამოირჩევს თავის წრიდან ბიუროს 3-5 კაცის შედგენილობით. სექციის ბიურო ამოირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

5. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია შეიმუშავებს თავის სამუშაო გეგმას, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ქალაქის საბჭოს საერთო გეგმასთან და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოსთან და აგრეთვე ქალაქის საბჭოს სხვა სექციების გეგმებთან, და დაადგენს რეგლამენტს თავისი სხდომებისათვის.

6. სექცია თავის წევრებს ჩააბამს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს პრაქტიკულ სამომკვლევო მუშაობაში, უმეტესად საჩივართა ბიუროში შესული ცალკე საკითხების გამოსარკვევად, და ამ მუშაობას, შეძლებისდაგვარად, გაატარებს არასამუშაო დროს საზოგადოებრივი თვითმოქმედების საფუძველზე.

7. სექცია გააცნობს თავის წევრებს ქალაქის მეურნეობის მდგომარეობას და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს მუშაობას მოხსენებებისა, ლექციებისა, ექსკურსიებისა, გამოკვლევების მოწყობის და ლიტერატურის რეკომენდაციის გზით.

8. სექციის ბიურო შეიმუშავებს სექციის სამუშაო გეგმას და შეუთანხმებს მას ქალაქის საბჭოს სხვა სექციების სამუშაო გეგმებს. მოამზადებს და დაამუშავებს საკითხებს სექციის პლენუმის სხდომებისათვის, მოიწვევს სექციის პლენუმის სხდომებს, შეადგენს ანგარიშს სექციის მუშაობის შესახებ.

შენიშვნა. შეთანხმებულ გეგმას დაამტკიცებს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

9. სექცია მონაწილეობას იღებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოსთან მოწყობილ თათბირებში სათათბირო ხმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სამომკვლევო მუშაობას, რასაც ქალაქის საბჭოს სხვადასხვა სექციები აწარმოებენ, როგორც გეგმის ფარგლებში, ისე გეგმის გარეშეც, უკეთუ იგი ეხება უფრო მნიშვნელოვან საკითხებს განსაზღვრავს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი; ეს მუშაობა შეთანხმებულ უნდა იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციასთან.

11. ცალკეული სექციების სამუშაო გეგმებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციასთან წინასწარ შეათანხმებენ ამ უკანასკნელის და სათანადო სექციის ბიურ̇ების წარმომადგენლები.

12. სამუშაო კავშირის გასაბმელად სხვა სექციებთან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია გამოჰყოფს, შეძლებისდაგვარად, თავის წარმომადგენლებს ქალაქის საბჭოს სხვა სექციების ბიუროებში. გარდა ამისა, ამავე მიზნით მოხდება სექციების პლენუმების სხდომების ოქმების გაცვლა-გამოცვლა და აგრეთვე ცალკეული საკითხების განხილვა შეერთებულ სხდომებზე.

13. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია მუშაობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებულად, ხოლო საადმინისტრაციო და საგანმკარგულებლო ფუნქციებში არ ერევა.

14. ყველა გაუგებრობას სექციის ბიუროსა და მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელს შორის ქალაქის საბჭოს განყოფილებებისა და ქალაქის მეურნეობის გამოკვლევის საკითხების გამო გადასწყვეტენ ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი და პლენუმი.

15. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ ქალაქის საბჭოს რომელიმე განყოფილების გამოკვლევის ჩატარების დროს, სათანადო განყოფილების სექცია გამოჰყოფს თავისი შედგენილობიდან სექციის წევრებს გამოკვლევაში მონაწილეობის მისაღებად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის წევრებთან ერთად.

16. ვიდრე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია გამოკვლევას შეუდგებოდეს, იგი ამას აცნობებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოს.

17. დასკვნანი და წინადადებანი მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოებული ქალაქის საბჭოს განყოფილებათა და აგრეთვე საქალაქო მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა ცალკე გამოკვლევის გამო წინასწარ განიხილება აღნიშნულ განყოფილებათა სექციის ბიუროში ან პლენუმში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის ბიუროს მონაწილეობით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანო, შეძლებისდაგვარად, გამოდის თანამოხსენებებით ქალაქის საბჭოს განყოფილებათა ანგარიშების გამო ქალაქის საბჭოს სექციების პლენუმებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ხელოვნების სახალხო და დამსახურებულ მოღვაწეთა და სახალხო და დამსახურებულ არტისტთა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ხელოვნების ყველა დარგის განსავითარებლად და წარსამატებლად ხელოვნების წარჩინებულ მოღვაწეთათვის დაწესებულია ქვემოაღნიშნული წოდებანი და ასეთი წოდების მქონე პირებს მიენიჭება ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული შეღავათები და უპირატესობანი:

ა) ხელოვნების სახალხო მოღვაწის ან სახალხო არტისტის წოდება;

ბ) ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ან დამსახურებული არტისტის წოდება.

2. ხელოვნების სახალხო ან დამსახურებული მოღვაწისა თუ სახალხო ან დამსახურებული არტისტის წოდება შეიძლება მიენიჭოს ისეთ პირს, რომელსაც უაღრესი დამსახურება მიუძღვის ხელოვნების დარგში, აგრეთვე ისეთ პირს, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაც დაკავშირებულია ხელოვნების სფეროში მოღვაწეობასთან.

3. საკითხს წინა მუხლში აღნიშნულ წოდებათა მინიჭების შესახებ განიხილავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წარდგენით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან.

4. ხელოვნების მოღვაწისათვის ამა დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ მინიჭებული წოდების ჩამორთმევა მოხდება იმავე წესით, როგორც წოდების მინიჭება, და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადასტურებულ იქნება ისეთი რამ გარემოება, რაც შეუძლებლად ხდის ამ წოდების მისთვის შენარჩუნებას.

5. ხელოვნების სახალხო ან დამსახურებულ მოღვაწეებს და აგრეთვე სახალხო და დამსახურებულ არტისტებს დაენიშნებათ პენსია პერსონალური პენსიის დებულების წესით (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-რი, მუხ. 26).

6. ხელოვნების სახალხო ან დამსახურებული მოღვაწეები და აგრეთვე სახალხო და დამსახურებული არტისტები, რომელნიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში არ ირიცხებიან, უფლებრივ სფეროში გაეთანაბრებიან სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეებს.

7. ხელოვნების სახალხო და დამსახურებული მოღვაწეებისა და სახალხო და დამსახურებული არტისტების შვილებს საქართველოს სსრ სასწავლებლებში შესვლისათვის იგივე უფლებები აქვთ, რაც მუშათა შვილებს.

8. ხელოვნების იმ მომუშავეს, რომელსაც ამა დადგენილების გამოცემის დღისათვის აქვს 1-ლ მუხლში აღნიშნული წოდება, შეენარჩუნება იგი და ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავეზე გავრცელდება ამა დადგენილებით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და უპირატესობა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 296 №-ში 1929 წ. დეკემბრის 24-ს.

---

6. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშების დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემოღებულ იქნეს 1929-30 საბიუჯეტო წლიდან სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებენ, საქართველოს სსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცალკეული ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშები.

თვითეული ბიუჯეტით ხარჯების გაწევა სწარმოებს იმ ნაღდი ფულის (ხელთქონებულობის) ფარგლებში, რაც საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელზე და მისი რწმუნებულების (აფხაზეთის სსრ-კასა, აჭარისტანის ავტ. სსრ-კასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში) სახელზე გახსნილ სათანადო ცენტრალიზებულ მიმდინარე ანგარიშებზე ირიცხება.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეუთანხმოს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კანტორას საკითხი ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცალკეული ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშების დაწესების შესახებ აფხაზეთის სსრ-კასა, აჭარისტანის ავტ. სსრ-კასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საბოლოო დამტკიცებისათვის სათანადო დადგენილების პროექტი.

3. საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცენტრალიზებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე ანგარიშების დაწესებამდე, წინადადება მიეცეს მათ ხარჯები აწარმოონ ფაქტიურად მიღებული სახელმწიფო შემოსავლის ფარგლებში და არა უმეტეს იმ ლიმიტებისა, რაც დაწესებულია ცალკეული რესპუბლიკებისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) თვითეულ კვარტალის დასაწყისისათვის წარმოუდგინოს ხოლმე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის კვარტალური საკასსო გეგმა;

ბ) არა უგვიანეს ყოველი თვის 15 რიცხვისა წარმოუდგინოს ხოლმე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება გასულ თვეში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და, ბიუჯეტის გასულ თვეში აღსრულების მიხედვით, კვარტალის შემდეგი თვეების საკასსო გეგმებში შეიტანოს სათანადო ცვლილებები.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გახსნან ხოლმე კრედიტები ყოველთვიურად თვითეული რესპუბლიკისა და ოლქისათვის კვარტალზე დაწესებულ ლიმიტების ერთი მესამედის ფარგალში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

---

7. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ს დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 252) დამტკიცებული „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების“ 1-ლი მუხლის ძალით ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას იმ ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ სახლებში, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან უშუალოდ ადგილობრივი საბჭოები ან რომლებიც იჯარით გადაცემული აქვთ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათ, საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ვადა არ შეიძლება განგრძობილ იქნეს 1929 წ. ოქტომბრის 1-ის შემდეგ ისეთ დამქირავებელთან, ვინც მოსახლეობის არამშრომელთა კატეგორიებს ეკუთვნის, უკეთუ მისი შემოსავალი დაბეგრილია 1928-29 წელს სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით ამ გადასახადის განაკვეთების მე-3 №-ის განაწერის მიხედვით (სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების მე-4 დანართი—სსრკ კანონთა კრ. 1928 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 2) და წელიწადში 3.000 მან. აღემატება.

მოსახლეობის ზემოაღნიშნული კატეგორიების პირებთან 1928 წ. იანვრის 1-ლის შემდეგ დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად, ხოლო 1928 წ. იანვრის 1-მდე დადებული ხელშეკრულება ,რომლის ვადაც 1929 წ. ოქტომბრის 1-ლის შემდეგ გადის, ძალაში რჩება მარტოოდენ ორი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ზემოაღნიშნული პირნი გამოსახლებულ უნდა იქნენ ადმინისტრატიული წესით და მათ უნდა მიეცეს ნებაყოფლობითი გამოსახლებისათვის ერთი თვის ვადა, ხოლო საცხოვრებელი სივრცის მიცემა სავალდებულო არ არის.

შენიშვნა 1. ამა მუხლის მოქმედება არა ვრცელდება იმ შინამრეწველებზე და ხელოსნებზე, რომელნიც დაბეგრილ არიან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით მე-2 №-რის განაწერის მიხედვით.

შენიშვნა 2. უკეთუ დამქირავებელმა ამა მუხლში აღნიშნულ პირთაგან, ქირავნობის ხელშეკრულობის შესასრულებლად, გასწია ხარჯი საცხოვრებელი სადგომების კაპიტალური რემონტისათვის ან გადაუხადა სახლის სამოურაოს წინდაწინ რაიმე თანხა, ყველა, აქედან გამომდინარე დავა დამქირავებელსა და სახლის სამოურაოს შორის—გამოსახლებამდე გამოყენებული ხარჯის ანაზღაურების შესახებ – გადაწყდება სასამართლო-სარჩელის წესით საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის თანახმად.

2. აკრძალულია ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ყველა სახლში განთავისუფლებული საცხოვრებელი სადგომის ისეთი პირისათვის მიქირავება, რომელიც არაშრომითი შემოსავლით სცხოვრობს, აგრეთვე მოსახლეობის აღნიშნული კატეგორიების პირთა ჩასახლება თვითშემჭიდროების წესით, საცხოვრებელი სივრცის გაცვლა-გამოცვლა ან დამქირავებლის მიერ თავისი საცხოვრებელი სივრცის გაქირავება.

3. უფლება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სათანადო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოასახლონ ადმინისტრატიული წესით ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას ყოფილი სახლთმფლობელნი (მათთან მცხოვრებ და მათ მზრუნველობაზე მყოფ ოჯახის წევრებითურთ) იმ ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებიდან, რომლებიც მათ საკუთრებას შეადგენდა ამ სახლების სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლამდე, თუნდაც ეს სახლთმფლობელნი 1-ლ მუხლში აღნიშნულ მოქალაქეთა კატეგორიებს არ ეკუთვნოდნენ.

4. მე-3 მუხლში აღნიშნულ პირთაგან გამოსახლებულ არ უნდა იქნენ:

ა) პროფესიონალურ კავშირთა წევრებად მყოფი პირები;

ბ) ის პირები, რომელნიც ოქტომბრის რევოლიუციამდე მუშებად იყვნენ, იმათ გარდა, ვინც ამჟამად არაშრომითი შემოსავლით სცხოვრობს;

გ) ის პირები, რომელთა ყოფილ სახლებშიაც საცხოვრებელი სივრცე 120 კვადრატულ მეტრს არ აღემატებოდა.

დ) ის პირები, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე, კერძოდ წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებულნი, პერსონალური პენსიის მქონნი, მეცნიერებისა, ტეხნიკისა ან ხელოვნების დარგის დამსახურებული მოღვაწენი, სახალხო არტისტნი, შრომის გმირნი, ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრნი;

ე) უმაღლესი სასწავლებლების პროფესორნი და მასწავლებელნი, სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა, ლაბორატორიებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დარგის თანამშრომელნი და სხვა სამეცნიერო დარგის მომუშავენი, რომელნიც სამეცნიერო მუშაობას სისტემატიურად აწარმოებენ (ეს უკანასკნელნი განათლების სახალხო აომისარიატის მიერ მათი სამეცნიერო მუშაობის თაობაზე მიცემული ცნობების მიხედვით).

ვ) „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული პირების ოჯახის წევრნი, რომელნიც ამ პირებთან სცხოვრობენ;

ზ) ის პირები, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს იმყოფებოდნენ მომქმედი წითელი არმიისა, აგრეთვე წითელი გვარდიისა და წითელი პარტიზანების რიგებში; ამ კატეგორიის გარდაცვალებულ პირთა და სამოქალაქო ომის მონაწილე დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები, მათ შორის იმ პირთა გამოკლებით, ვინც ამჟამად არაშრომითი საშოვარით სცხოვრობს ან რომელთა მტრული განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ;

თ) ამჟამად ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი პირები და მათი ოჯახები;

ი) სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა პასუხისმგებელი თანამშრომლები და სპეციალისტები და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები;

კ) ის პირები, რომლებიც პენსიას სოციალური დაზღვევის წესით იღებენ ან რომლებიც ითვლებიან სოციალურ უზრუნველყოფაზე;

ლ) ის პირები, რომლებიც იმყოფებიან მათთან მცხოვრები ისეთი პირის რჩენაზე, ვის გამოსახლებაც ამა მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“ და „კ“ პუნქტების თანახმად, არ შეიძლება.

5. ამა დადგენილების წესით გამოსახლებულ ყოფილ სახლთმფლობელთ (მუხ. 3), რომელნიც ეკუთვნიან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართის („მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ მათ მიერ დაჭერილი სადგომებიდან“—საქართვ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-რი, მუხ. 53) მე-5 მუხლში ჩამოთვლილ პირთა რიცხვს,—საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქო საბჭომ ან მისმა შესაბამისმა ორგანიზაციამ და საწარმომ უნდა მისცეს ვარგისი საცხოვრებელი სივრცე ქალაქის ხაზის ფარგლებში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებანი ან გადაზიდვის სასყიდელი.

შენიშვნა. საცხოვრებელი სივრცის მიცემამდე აღნიშნულ პირთა გამოსახლება არ შეიძლება.

6. საქალაქო საბჭოს და სათანადო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხოლო ყოველთვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადასტურებით, გამოასახლოს ამა დადგენილების წესისამებრ, სახლმფლობელი მე-4 მუხლში აღნიშნულ პირთაგან, უკეთუ დამტკიცდა, რომ მან ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რაც აბრკოლებს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა განხორციელებას საბინაო პოლიტიკისა და ბინათმშენებლობის სფეროში.

შენიშვნა. საქალაქო საბჭოს და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამა მუხლში აღნიშნული საკითხების გამო აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე დამტკიცებულ უნდა იქნეს აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

7. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქითურთ.

8. მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს, ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 292 №-ში 1929 წ. დეკემბრის 19-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

8. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის შესახებ.

1. მ ი ზ ნ ე ბ ი.

1. სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტს მიზნად აქვს სოციალური ჰიგიენის საკითხების შესწავლა, მეცნიერულ-პრაქტიკულად შემუშავება და განხორციელება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური კულტურის განსავითარებლად და სანიტარული კეთილდღეობისათვის ხელის შესაწყობად.

2. სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი არის უმაღლესი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და მას აქვს აღნიშნული კატეგორიის დაწესებულებათათვის მიკუთვნებული ყველა უფლება და უპირატესობა.

3. სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი შედის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოთა სისტემაში სასანიტარო-საეპიდემიოლოგიო განყოფილების ხაზით.

4. ინსტიტუტს დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული საკითხები, რაც დაკავშირებულია: 1) მეცნიერულ და მარქსისტულ პრინციპებზე დამყარებულ საბჭოთა აღმშენებლობის ღონისძიებათა განხორციელებასთან შრომის და ყოფაცხოვრების გაჯანსაღებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისათვის; 2) სოციალურ-ჰიგიენურ გამოკვლევათა მეთოდოლოგიისა და სოციალური ჰიგიენის

სწავლების მეთოდოლოგიის გაღრმავებასა და გაზუსტებასთან; 3) ფართო საზოგადოებრივი აზრის ამუშავებასთან ჯანმრთელობის საკითხის ირგვლივ;

ბ) აწარმოოს სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესწავლის სფეროში;

გ) გაავრცელოს სპეციალური ცოდნა და მოამზადოს სპეციალისტები სამეცნიერო და სამეცნიერო-გამოყენებითი მუშაობისათვის შრომის და ყოფაცხოვრების გაჯანსაღების სფეროში;

დ) შეიმუშაოს სანიტარული განათლების მეთოდოლოგიური და საორგანიზაციო საკითხები, აწარმოოს პრაქტიკულად სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობა და ხელი შეუწყოს ამ საქმეს ადგილებზე;

ე) ხელი შეუწყოს უმაღლეს სასწავლებლების სამედიცინო ფაკულტეტებზე პროფილაქტიურ დისციპლინათა სწავლების მოწყობას.

5. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი:

ა) მოახდენს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას და ცდებს თავის სამეცნიერო განყოფილებათა და დამხმარე დაწესებულებათა მეშვეობით.

ბ) მოაწყობს საექსპედიციო გამოკვლევებს;

გ) იკისრებს, თავის კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ცალკე პირების სპეციალური მუშაობისათვის ხელმძღვანელობას; გაუწევს კონსულტაციას და ინსტრუქტირობას ამ საკითხებზე იმ პირებს, რომელნიც მიმართავენ მას ან რომელნიც მივლინებული იქნებიან ადგილებიდან;

დ) მოაწყობს სემინარიებს სოციალური ჰიგიენის სამეთოდოლოგიო და საპრობლემო საკითხებისათვის;

ე) გაუწევს ხელმძღვანელობას ასპირანტებისა, სტაჟიორებისა და ექსტერნების მუშაობას;

ვ) მოაწყობს კურსებს ექიმთა კვალიფიკაციის წარმოებისა და სპეციალისტთა მომზადებისათვის;

ზ) იკისრებს სოციალურ-ჰიგიენური დარგის ხელმძღვანელობას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილ კურსებზე;

თ) მოამზადებს საშუზეუმო-საგამოფენო ფასეულობათა ახალ ნიმუშებსა და თვალსაჩინო სახელმძღვანელოებს, როგორც უმაღლესი სწავლისა, ისე სანიტარული განათლების საჭიროებისათვის, და ხელს შეუწყობს მათ გავრცელებას;

ი) მოაგროვებს, სისტემაში მოიყვანს, შეინახავს და გამოიყენებს სხვადასხვა მასალებსა და სამეცნიერო განძეულობას სოციალური ჰიგიენის სფეროში (მუზეუმი, გამოფენა, ბიბლიოთეკა, ცნობათა ბარათები);

შენიშვნა. ამ მხრივ სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი არის სამუზეუმო განძეულობის ცენტრალური საცავი.

კ) მოაწყობს და განახორციელებს საჩვენებელ და საცდელ კურსებსა, ლექციებსა და დემონსტრაციებს;

ლ) მოაწყობს დროებით და მუდმივ გამოფენებსა და ხელს შეუწყობს ამ საქმეში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სხვა ორგანოებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) მიიღებს მონაწილეობას თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ყრილობებზე, კონფერენციებზე და თათბირებზე; მოაწყობს სამეცნიერო სხდომებს, დისპუტებს, თათბირებს, კონფერენციებს;

ნ) დაამყარებს ორგანიზაციულ ურთიერთობას საბჭოთა საზოგადოებრივობასთან;

ო) გააბამს კავშირს სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებთან და დაწესებულებებთან;

პ) გამოსცემს სამეცნიერო შრომებს.

II. ინსტიტუტის სტრუქტურა.

6. სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის შედგენილობაში შედის კაბინეტები:

1) ანტროპომეტრული, 2) სასანიტარო-სასტატისტიკო, 3) მედიცინის ისტორიისა, 4) ჯანმრთელობის ორგანიზაციის საკითხებისა, 5) ბინისა, კვებისა და ბუნებრივი ფაქტორების შესწავლისა, 6) სანიტარული განათლებისა, 7) კომუნალური სანიტარიისა.

7. სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტთან დამხმარე დაწესებულებათა სახით არსებობს:

1) სოციალური ჰიგიენის მუზეუმი, სანიტარული განათლების საჩვენებელი გამოფენით;

2) სახელმწიფო სამკურნალო ბიბლიოთეკა;

3) თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოებისა და ექსპონატების სახელოსნო.

4) ლაბორატორია.

III. ინსტიტუტის მმართველობა.

8. სახელმწიფო სოციალური ინსტიტუტის სათავეში სდგას დირექტორი, რომელსაც დანიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, სამეურნეო-საადმინისტრაციო დარგში დირექტორისათვის დასახმარებლად, დირექტორის წარდგენით, შეიძლება დაინიშნოს დირექტორის თანაშემწე.

9. დირექტორს დაეკისრება განაგოს ინსტიტუტის მუშაობის ყველა დარგი და პასუხი აგოს ინსტიტუტის მუშაობისათვის მთლიანად. დირექტორს ემორჩილება ინსტიტუტის ყველა მოსამსახურე.

ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას შეადგენს: ა) ითავმჯდომარეოს საბჭოში, ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებზე, დაამტკიცოს და განახორციელოს მათი დადგენილებები; ბ) წარუდგინოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საკონკურსო კომისიას ინსტიტუტში სამუშაოდ მისაწვევი თანამშრომლების კანდიდატურა; გ) აწარმოოს მიწერ-მოწერა ინსტიტუტის სახელით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და სხვა საუწყებო დაწესებულებებთან; დ) წარადგინოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში დადგენილ ფორმებით და ვადაზე ყველა მოთხოვნილი ანგარიში, გეგმა და სხვა მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ინსტიტუტისა, მისი განყოფილებებისა და დამხმარე დაწესებულებების სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობის საერთო მიმართულების წარმართვისათვის, მათი ანგარიშების მოსმენისათვის და ინსტიტუტის მუშაობისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინაშე მდგარი საკითხების შეთანხმებისათვის ინსტიტუტთან სათათბირო ორგანოს სახით მოეწყობა ინსტიტუტის საბჭო.

ინსტიტუტის საბჭოში შედიან: დირექტორი, მისი თანაშემწე, ინსტიტუტის განყოფილებათა და დამხმარე დაწესებულებათა გამგეები, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სასანიტარო-საეპიდემიოლოგიო და საორგანიზაციო განყოფილებების წარმომადგენელნი—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წარმომადგენელი—მედსანშრომის პროფეს. კავშირის წარმომადგენელი და ინსტიტუტის ასპირანტებისა და სტაჟიორების წარმომადგენელი.

შენიშვნა. ინსტიტუტთან მოწყობილი კურსების მოქმედების დროს საბჭოს შედგენილობაში შედის ექიმ-კურსანტების ერთი წარმომადგენელი, რომელიც აირჩევა კურსანტების საერთო კრებაზე.

11. საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) განიხილოს ინსტიტუტის მოქმედების საერთო გეგმა და ინსტიტუტის მუშაობის მთლიანი ანგარიში და აგრეთვე ინსტიტუტის განყოფილებათა და დამხმარე დაწესებულებათა ანგარიშები;

ბ) განიხილოს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხები, რაც დაკავშირებულია სამეცნიერო და სასწავლო საქმესთან, როგორიც არის: სასწავლო გეგმებისა და პროგრამების განხილვა, დასამუშავებელი თემების განხილვა, საკონკურსო თანამდებობაზე კანდიდატების რეკომენდაცია და სხვ.

12. საბჭოს სხდომებს მოიწვევს დირექტორი თავისი ინიციატივით ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის განცხადებით. ყოველ შემთხვევაში, სხდომა გაიმართება თვეში ერთხელ მაინც. საბჭოს სხდომაზე ცალკეული საკითხების განხილვის დროს შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა დაწესებულებისა და სპეციალობის წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით.

13. სამეცნიერო მოხსენებათა განსახილველად ინსტიტუტთან მოეწყობა სამეცნიერო კონფერენციები დირექტორის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით და ინსტიტუტის ყველა მეცნიერ მომუშავისა და თანამშრომლების მონაწილეობით კონფერენციაზე მიიწვევიან თანამშრომელნი სხვა ინსტიტუტებისა, რომელნიც მუშაობენ სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის მოღვაწეობის თანამოსაზღვრე დარგებში; აგრეთვე მიიწვევიან პროფილაქტური კათედრების თანამშრომელნი.

შენიშვნა. ცალკეული საკითხების შესამუშავებლად დირექტორი მოიწვევს განსაკუთრებულ მომმზადებელ კომისიას.

14. ინსტიტუტთან იმყოფებიან ასპირანტები, სტაჟიორები, ექსტერნები და მეცნიერების დარგში მომუშავე თანამშრომლები (სტიპენდიატები) მათთვის არსებულ დებულებათა საფუძველზე.

15. ინსტიტუტში, დირექტორის ნებადართვით, ეძლევათ სამუშაო ადგილები ექსტერნებს ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად ან საკვლევო მუშაობის ჩასატარებლად. ექსტერნები მოვალენი არიან წარუდგინონ ინსტიტუტის დირექტორს თავიანთი მუშაობის ანგარიში.

16. სამეცნიერო დარგის ყოველი მომუშავე ინსტიტუტისა მიიღება კონკურსით და დამტკიცებულ იქნება ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მიერ. კონსულტანტები (მუდმივნი) დამტკიცებულ იქნებიან დირექტორის წარდგენით. დანარჩენ პერსონალს მიიწვევს დირექტორი.

17. სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი იმყოფება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სასანიტარო-საეპიდემიოლოგიო განყოფილების გამგებლობაში; ინახება იგი, თანახმად დამტკიცებული შტატებისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

18. თავისი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ინსტიტუტს უფლება აქვს შექმნას სპეციალური სახსარი საამისოდ არსებული კანონების თანახმად.

19. სახელმწიფო სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტს აქვს თავისი სახელწოდების ბეჭედი და შტამპი.

---

9. დადგენილება ს. კ. ს.

საბინაო-კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის იმ ნებართვის მიცემის შესახებ, რომ სათადარიგო კაპიტალში გადასაცემი თავიანთი ანარიცხები შეიტანონ საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში ანაბარის სახით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ კოოპერაციის სათადარიგო კაპიტალების შექმნისა, შენახვისა და დახარჯვის წესის შესახებ 1928 წლის მაისის 23-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრ. 1928 წ. 34 №-რი, მუხ. 299 და 1929 წ. 61 №-რი, მუხ. 562) მე-4 მუხლის შენიშვნის საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საბინაო-კოოპერატიულ ორგანიზაციებს სათადარიგო კაპიტალში გადასაცემი თავიანთი ანარიცხები შეიტანონ საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში ანაბარის სახით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება—საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 17.
ტფილისი-სასახლე.

დებულება

საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის განათლების სახალხო ქომისარიატთან არსებული კომიტეტი საერთო მეთვალყურეობას უწევს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოებისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებების მიერ ეროვნულ უმცირესობათა განათლებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების საქმეს და იხილავს იმ პრინციპიალურ საკითხებს, რაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა განათლებას ეხება.

2. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმის კომიტეტს დაეკისრება:

ა) მოისმინოს და განიხილოს განათლების სახალხო კომისარიატის ცალკეული სამმართველოების საერთო ხასიათის მოხსენებები და ანგარიშები საქართველოს სსრ ეროვნებათა განათლებისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე სახალხო განათლების საოლქო და სამაზრო განყოფილებების მოხსენებანი საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა შორის ცალკეულ რაიონებში წარმოებული საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ;

ბ) განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საათანადო სამმართველოების მიერ შედგენილი ოპერატიული, პერსპექტიული და გენერალური გეგმები ეროვნულ უმცირესობათა განათლებისათვის საჭირო მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობისა და აგრეთვე ამ ეროვნულ უმცირესობათა შესაბამისი ლიტერატურის გამოცემის გეგმები;

გ) განიხილოს საკითხები საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა შორის შემოსაღებ სახალხო განათლების სისტემათა შესახებ;

დ) განიხილოს საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლებისათვის საჭირო ხარჯების წლიური აღრიცხვები;

ე) განიხილოს საკითხები საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის საჭირო სხვადასხვა კვალიფიკაციისა და ყოველგვარი სპეციალობის მომუშავეთა მომზადების შესახებ;

ვ) იქონიოს ურთიერთი მიმართვა ეროვნულ უმცირესობათა განათლების საკითხების გამო საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის სათანადო ორგანოებთან და აგრეთვე ა/კსფსრ-ისა და სსრკ-ის შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკების სათანადოვე ორგანოებთან.

3. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმის კომიტეტის ყოველ დადგენილებას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დამტკიცების შემდეგ, განახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სათანადო სამმართველო.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სამმართველოებში დაარსდება იმ მომუშავეთა სპეციალური შტატი, რომელთაც იციან საქართველოს სსრ-ში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენები, ყოფაცხოვრება და ცხოვრების სხვა პირობები. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში შედის კომიტეტის წარმომადგენელი საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საკითხებისათვის.

4. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმის კომიტეტის შედგენილობაში შედიან:

ა) სოციალურ აღზრდის მთავარი სამმართველოს უფროსი, პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი, სამეცნიერო, სამუზეუმო და სამეცნიერო-სამხატვრო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსი და ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, აგრეთვე ის მომუშავენი, რომელნიც ამ სამმართველოებში ხელმძღვანელობას უწევენ ეროვნულ უმცირესობათა განათლებისათვის წარმოებულ მუშაობას;

ბ) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წარმომადგენელი;

გ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორი ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმისათვის;

დ) საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების კომისარიატების წარმომადგენელნი;

ე) ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოს და ტფილისის სახალხო განათლების განყოფილებათა წარმომადგენელნი;

ვ) სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ეროვნულ უმცირესობათა საქმისათვის არსებული კომისიის წარმომადგენელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტთან მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობისათვის არსებული განყოფილებების წარმომადგენელნი და ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის წარმომადგენელნი;

თ) საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებთან ეროვნულ უმცირესობათა საქმისათვის არსებული ქვეგანყოფილებების წარმომადგენელნი;

ი) ახალი თურქული ალფაბეტის შემომღები სრულიად საკავშირო კომიტეტის წარმომადგენელი;

კ) განათლების მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი.

ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმის კომიტეტის თავმჯდომარედ არის განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, რომელსაც ეს კოლეგია დანიშნავს.

5. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმის კომიტეტის სხდომებს მოიწვევს კომიტეტის თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც.

6. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმის კომიტეტის სხდომიდან სხდომამდე მიმდინარე პერიოდში სხვადასხვა საკითხების განსახილველად მოეწყობა კომიტეტის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) „ზ“ პუნ. აღნიშნული, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების ქვეგანყოფილებათა წარმომადგენელნი;

გ) სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ეროვნულ უმცირესობათა არსებული კომისიის წარმომადგენელი;

დ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოს უფროსი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ეროვნულ უმცირესობათა განათლებისათვის წარმოებულ მუშაობას;

ე) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წარმომადგენელი.

7. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმის კომიტეტს ჰყავს მუდმივი მდივანი.

---

11. დადგენილება ს. კ. ს.

საბაჟო დაწესებულების მიერ დადებული ჯარიმის გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„სსრკ-ის საბაჟო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 19-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 1 №-რი, მუხ. 1) მე-7 მუხლისა და აღნიშნულ დადგენილებასთან ა/კსფსრ კანონმდებლობის შეთანხმების შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის 1929 წ. ოქტომბრის 21-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-რი, მუხ. 201) მე-13 მუხ. თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 3-ს დადგენილების „საბაჟო დაწესებულების მიერ დადებული ჯარიმის გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 17.
ტფილისი-სასახლე.

---

12. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

მშენებელი მუშების მომზადებისათვის საჭირო ლონისძიებათა განსახორციელებლად შრომის ბირჟების და საზოგადოება „უსტანოვკა“-ს („Установка“) ადგილობრივ განყოფილებებისათვის სადგომების მიცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს და აღმასრულებელ კომიტეტებს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, დაუბრკოლებლად მისცენ ხოლმე შრომის ბირჟებსა და საზოგადოება „უსტანოვკა“-ს სასწავლო-სამშენებლო ბაზისების სადგომები, რაც საჭირო იქნება კვალიფიციური მშენებელი მუშების მომზადების გეგმის ნორმალურად განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 17.
ტფილისი-სასახლე.

---

13. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წვრილი მრეწველობის (შინამრეწველ-ხელოსნური) აღწერის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 12-ს დადგენილების აღსრულებისა და განვითარებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიმდინარე საოპერაციო წლის იანვარ-მარტის განმავლობაში საქართველოს სსრ-ისა, აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ჩატარებულ იქნეს წვრილი მრეწველობის (შინამრეწველ-ხელოსნური) აღწერა.

2. აღწერის ჩატარება დაეკისროს საქართველოს სსრ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს.

3. დაევალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს აღმოუჩინოს საქართველოს სსრ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს და მის მიერ რწმუნებულ პირთ (სააღმწერო პერსონალს) ყოველგვარი დახმარება აღწერის ჩატარების საქმეში-

4. რათა აღწერა უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო ხელმძღვანელი პერსონალით უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, მიიწვიოს სააღწერო მუშაობაში მონაწილეობისათვის სხვა უწყებებში და ორგანიზაციებში მომუშავე კვალიფიციური სტატისტიკოსები და სპეციალისტები და აგრეთვე მისცეს სააღწერო მუშაობაში მონაწილეობისათვის მიწვეულ, სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთ დამატებითი გასამრჯელო იმ სამუშაო ხელფასის დამოუკიდებლად, რასაც ისინი თავიანთი თანამდებობის მიხედვით იღებენ.

5. წინადადება მიეცეს ყველა საოლქო (სამაზრო) და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტს: ა) მიიღოს ღონისძიება—საოლქო (სამაზრო) და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებთან და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და სასოფლო საბჭოებთან წვრილი მრეწველობის აღწერის ხელშემწყობი კომისიების მოწყობისათვის (აღმასრულებელი კომიტეტისა, პროფესიონალური ორგანიზაციისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელთა შედგენილობით); ბ) გამოსცეს დადგენილება, რომლითაც დაევალება ყველა სახლის სამოურაოს და ყველა სახლის მფლობელს ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას შეადგინოს აღწერის დასაწყისისათვის, ხოლო არა უგვიანეს 1930 წ. იანვრის 10-სა, საქართველოს სსრ სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მიერ განსაზღვრული ფორმით, სია ამა თუ იმ მფლობელობაში მყოფ წვრილ სამრეწველო საწარმოთა და აგრეთვე იმ მდგმურთა, რომელთაც აქვთ პირადი სარეწაო, და წარუდგინოს ეს სია სააღმწერო პერსონალს მოთხოვნისთანავე; გ) დაევალოს სასოფლო საბჭოებს აღმოუჩინონ სააღმწერო პერსონალს სოფლად აღწერის ჩატარების პერიოდში უფასოდ გასათევი ბინა საერთო საცხოვრებელ სახლებში, ქოხ-სამკითხველოებში და აღმასრულებელი კომიტეტების სადგომებში, აგრეთვე შეღავათიანი პირობებით—გადასახადი საშუალებანი.

6. დაევალოს ყველა შინამრეწველ-ხელოსანს და წვრილი სამრეწველო საწარმოს მფლობელს მისცეს სააღმწერო პერსონალს, მისი მოთხოვნისათანავე, ზედმიწევნითი ცნობები.

7. ცნობების მიცემისაგან თავის არიდებისათვის დამნაშავე პასუხს აგებს კანონის მიხედვით.

8. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

საქართველოს სსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახ. კომის. საბჭოს საქ. მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 302 №-ში 1929 წ. დეკემბრის 31-ს.

---

14. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო ორგანოებისა, შერეული სააქციო საზოგადოებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების 1929—1930 წლის ხარჯთაღრიცხვებით გასათვალისწინებელი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფი რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოები, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს რეგისტრაციაში გასატარებელი შერეული სააქციო საზოგადოებები და რესპუბლიკანური კოოპერატიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ორგანიზაციები მოვალენი არიან 1929-30 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების დანიშნულებანი აღრიცხონ შემდეგ დებულებათა საფუძველზე:

ა) 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვაში არ უნდა იქნენ შეტანილი 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ასიგნობანი იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რაც არსებობდა მხოლოდ 1928-29 წელს და არ განმეორდება 1929-30 წელს, აგრეთვე ასიგნობანი იმ ხარჯებისათვის, რაც დაკავშირებულია სხვა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის გადაცემულ ფუნქციებზე.

ბ) 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები, 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვების სათანადო ასიგნობებთან შედარებით, შემცირებულ უნდა იქნეს 1928-29 წელს აპარატის რაციონალიზაციისა და ეკონომიის რეჟიმისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა მიხედვით და აგრეთვე იმ ღონისძიებათა მიხედვით, რაც გატარებულ უნდა იქნეს 1929-30 წელს;

გ) ასიგნობები ამ ახალი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის, რაც პირველად გათვალისწინებულ უნდა იქნეს 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვით, შეიტანება ამ ხარჯთაღრიცხვაში გრაფს გარეშე, იმ ხარჯების ზედმეტად, რომლებიც გათვალისწინებული იყო 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვით.

ეს ახალი ასიგნობები სახელმწიფო ორგანოებსა და შერეულ სააქციო საზოგადოებებს ხარჯთაღრიცხვაში შეაქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ არსებობს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ან მომწესრიგებელი ორგანოების სათანადო დადგენილება, ხოლო კოოპერატიულ ორგანიზაციებს—იმ შემთხვევაში,—უკეთუ არსებობს მათ წესდებაში აღნიშნული სათანადო ორგანოების დადგენილება;

დ) 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების ასიგნობები,—ახალი ხარჯების ზედ-დართვით, არ უნდა აღემატებოდეს 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ მათი შესაბამისი ხარჯების დანიშნულებას. ამ წესიდან გადახრა შეუძლიანთ რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოებსა და შერეულ სააქციო საზოგადოებებს მარტოოდენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომასარიატთან, ხოლო რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ორგანიზაციებს—რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრისა და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

2. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და საქართველოს სსრ იმ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც სამეურნეო ანგარიშზე მყოფი რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოები არიან, აგრეთვე რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრებს, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცენ ერთი კვირის განმავლობაში ინსტრუქცია ამ დებულების შეფარდებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 24-ს.
ტფილისი-სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 223 დაიბეჭდა 1.200.